PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი; №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი

წევრები:
ალექსანდრე კეკენაძე
ინგა ბოჭოიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 ივნისის N518653 ბრძანების საფუძველზე, რომელშიც ცვლილება შევიდა 2020 წლის 29 ივნისის N533408 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დისტანციურად შეფასება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრში გადმოგზავნილ მასალაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით 2020 წლის 15 ივნისს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაეგზავნა ხარვეზის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის No470636), ხოლო მიმდინარე წლის 16 ივნისს დაწესებულებამ ცენტრში გამოაგზავნა კორესპონდენცია ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით (ცენტრში რეგისტრაციის N475064). შესაბამისად ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ხარვეზის გამოსწორების შემდგომ მიღებული მასალა. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 6 ივლისს 13.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია (პირადი საქმეები) საქმეში უკეთ გასარკვევად. ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად ჩართვას ესწრებოდა ცენტრის თანამშრომელი ქალბატონი მაყვალა დარსანია და პროფესიული განათლების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ქალბატონი ნანი დალაქიშვილი. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება და ჯგუფმა ონლაინ დაათვალიერა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დარჩა მარტო ონლაინ რეჟიმში, შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები დაწესებულების წარმომადგენელთა გარეშე და ბოლო ჩართვაში დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სსიპ -სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება ქალაქ ახალციხეში. პროფესიული პროგრამებისთვის განსაზღვრული ფართი და მატერიალური რესურსი არის მხოლოდ პროფესიული პროგრამისათვის. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პრაქტიკული გამოცდილების პროფესიული განათლების მასწავლებლები. შესაბამისად, უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფარგლებში არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტზე გაიცა რეკომენდაციები დაწესებულების რეგულაციებთან დაკავშირებით, რაც ჩვენ მიერ შემოწმებულ დოკუმენტებში შესწორებული დაგვხვდა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ლაბორატორიულ აღჭურვილობასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოს ლაბორატორიის შეძენა, რამდენადაც მოდულით გათვალისწინებულია ლაბორატორიის მუდმივი გამოყენება და სასურველია უნივერსიტეტს საკუთრებაში ჰქონდეს მოთხოვნილი რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმავითარებელი რეკომენდაცია:

2.2.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლების და განსაკუთრებით ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების შემდგომ გადამზადებასთან დაკავშირებით, რამდენადაც მათ არ გაუვლიათ სპეციალური ტრენინგები და ჩვენი შეფასებით საჭიროებენ განვითარებას ამ კუთხით.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	18 .05.2020 წ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი 2, დადგენილება 8
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ახალციხე, რუსთაველის ქ 122
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	28 ,ახალციხე , რუსთაველის ქ 122
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
აგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

ექსპერტთა მიერ განხილული დოკუმენტაციისა და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შერჩევის დროს დაეყრდნო სსიპ -სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტებს, რაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გულისხმობს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში და კერძოდ რეგიონის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას. მათი აზრით, რაც მათ მიერ ჩატარებულმა კვლევებმაც დაადასტურა (კვლევები მიმდინარეობდა სატელეფონო და სოციალური ქსელების მეშვეობით) მოთხოვნა წარმოდგენილ პროგრამაზე მაღალია, რამდენადაც კონკრეტული პროგრამის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განმარტებით, რაც ასევე აღწერილია მათ მიერ შევსებულ თვითშეფასებაში და დასტურდება მისიით და სტრატეგიული განვითარების გეგმით, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ინტეგრირებული მოდულებით ზუსტად ასახავს უნივერსიტეტის მიერ გაცხადებულ პრიორიტეტებს. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა, რომ ინტეგრირებული მოდულებით პროფესიული პროგრამები სიახლეა ქართული საგანმნათლებლო სივრცისთვის, ამიტომ შეარჩია ყველაზე უფრო მოთხოვნადი პროგრამა, რაც მისაღები იქნება საზოგადოებისთვის. პროგრამის განსაკუთრებული საჭიროება კიდევ უფრო გამოიკვეთა ბოლო დროს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და შესაძლებლობების ფონზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მისიის ყველა განაცხადი მოიცავს პროფესიულ მიმართულებებს. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრატეგიული მიმართულება - თავი 2. სწავლა-სწავლებაში გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზანი, 2.3. - პროფესიული განათლების მდგრადობისა და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ ამოცანებს:

ამოცანა 2.3.1: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება ახალქალაქში და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;

ამოცანა 2.3.2: უნივერსიტეტის სტრუქტურასა და რეგულაციებში პროფესიული განათლების ასახვა კანონმდებლობის შესაბამისად;

ამოცანა 2.3.3: პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო /გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება

ამოცანა 2.3.4: მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების განხორციელება.

უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია, რომელიც პროფესიული განათლების მიმართულებით ძლიერი, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და შესაძლებლობების ანალიზით განსაზღვრავს სტრატეგიულ ამოცანებს:

- პროფესიონალი კადრების მომზადება და განვითარება;
- პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული ადამიანური რესურსების მოზიდვა/განვითარება, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლება;
- პროფესიული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლა-სწავლებაში თანასწორობისა და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა;
- პროფესიული განათლების მდგრადობისთვის ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა;
- პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია; საერთაშორისო ურთიერთობა და თანამშრომლობა უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
- პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სამთავრობო სტრუქტურებთან, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან, აგრეთვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო კონტაქტი და კონსტრუქციული ურთიერთობა;
- შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

სჯსუ-ს პროფესიული განათლების სტრატეგია მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, შესაბამის ამოცანებს და მათი მიღწევის გზებს.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტთან. არაინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო საბაზო ზოგადი განათლება მოთხოვნილია ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება), რომელიც დამტკიცებულია სსიპ -სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი № 2.

წესი ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33. 08.05. 2018 წ. ოქმი N 8. დოკუმენტით რეგულირდება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობა. შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ოდენობის დადგენის დროს დაწესებულებამ გაითვალისწინა საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი, პროფესიული პროგრამის ხანგძლივობა, სასწავლო გარემო (A, B), აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საგანმანთლებლო რესურსი, პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა (19) და უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით დაადგინა სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, რაც განისაზღვრა 28 პროფესიული სტუდენტით, მათ შორის ინტეგრირებულისთვის 14 პროფესიული სტუდენტით. უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს აღნიშნულ პროგრამაზე მიიღოს როგორც საშუალო განათლების, ასევე საბაზო განათლების მქონე პირები და სწავლა განახორციელოს ორ ცვლაში.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არ აქვს არჩევითი მოდულები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის 3.1 მუხლის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. მეთოდოლოგია დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 10. 18.05.2020 წ. ოქმი № 2. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ უფლებამოსილი ორგანოს მიერ არის დამტკიცებული.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება კონკრეტულია და სრულ შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. შესაბამისად პროფესიული სტუდენტისათვის სახელწოდება არის ნათელი, გასაგები და არ შეიცავს შეცდომაში შეყვანის რისკს.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში/ Fourth level vocational qualification in Computer network and systems და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს. ინტეგრირებული პროგრამის შემუშავების საფუძველია 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სასწავლო გეგმა ინტეგრირებული პროგრამისთვის გაწერილია 3 სასწავლო წელზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიით;
- სტრატეგიული გეგმით;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელ. კატალოგით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით- „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №8. 18.05.2020;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია უნივერსიტეტში არსებული როგორც სასწავლო, ასევე მატერიალური რესურსით, რომელიც შეესაბამება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას - 28 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში).

პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მე-3 სართულზე გამოყოფილია ერთი A და B გარემო (N 304), 16 პროფესიული სტუდენტისთვის /16 სამუშაო ადგილი/, ერთი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი, პროექტორი, საპროექციო დაფა, დინამიკები. B გარემოში (N305) განთავსებულია: 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, 2 მულტიფუნქციური პრინტერი, პროექტორი და შესაბამისი საპროექციო დაფა. ექსპერტების შეფასებით ამავე აუდიტორიაში განთავსებული მასალა და აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. უნივერსიტეტში გამოყოფილია ასევე ინტეგრირებული პროგრამის მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიებისთვის“ სასწავლო აუდიტორია (N 302), 14 სამუშაო ადგილით სტუდენტებისათვის და 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. აუდიტორიაში განთავსებულია ერთიკომპიუტერი, ერთი პროექტორი, საპროექციო დაფა და კომბაინი, დამონტაჟებულია ონკანი, თუმცა <u>ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს შეძენილი შესაბამისი ლაბორატორია, რამდენადაც ელოდებიან ტენდერის გამოცხადებას</u>. დაწესებულება მოდულის განხორციელებას გეგმავს სწავლის დაწყებიდან მეხუთე კვირას, რაც გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ ლაბორატორიის შეძენისთვის დაწესებულებას საკმარისი დრო აქვს. რისკის თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტმა 05.06.2020 მემორანდუმი გააფორმა ახალციხის N1 საჯარო სკოლასთან. მემორანდუმის საფუძველზე, მხარეები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფარგლებში, სკოლაში არსებული ლაბორატორიული აღჭურვილობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სრული აღჭურვილობა. მემორანდუმის თანახმად უნივერსიტეტისმიმართვის საფუძველზე მოდულის განსახორციელებლად პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, სასწავლო პირობები, განისაზღვრება უნივერსიტეტისა და „სკოლის“ ურთიერთშეთანხმებით მემორანდუმის მოქმედების პერიოდში. მემორანდუმის ფარგლებში „უნივერსიტეტი“ სთავაზობს ,,სკოლას“ „უნივერსიტეტის“ კუთვნილი ინფრასტრუქტურით სარგებლობას; მასწავლებელთა ჩართულობას „უნივერსიტეტის“ სხვადასხვა აქტივობაში და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად განხორცილებას, იმდენად, რამდენადაც უნივერსიტეტს აქვს სამივე კორპუსში ადმინისტრირებისათვის მოქნილი შიდა ქსელი, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი ადამიანური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ლაბორატორიულ აღჭურვილობასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოს ლაბორატორიის შეძენა, რამდენადაც მოდულით გათვალისწინებულია ლაბორატორიის მუდმივი გამოყენება და სასურველია უნივერსიტეტს საკუთრებაში ჰქონდეს მოთხოვნილი რესურსი.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 9 მასწავლებელი ინტეგრირებული მოდულებისათვის. პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით და არ წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის დროს, დაწესებულებამ უპირატესობა იმ მასწავლებლებს მიანიჭა, რომელთაც ჰქონდათ სწავლების გამოცდილება. მათ შორის არიან პირები, რომლებიც სხვადასხვა პროფესიული პროგრამების ჩარჩო-დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებიც შერჩეულნი არიან გასაუბრების გზით უნივერსიტეტის წესდების თანახმად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან გასაუბრების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მათ ჩაუტარდათ 4 დღიანი ტრენინგი თემაზე „პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება, სწავლების თანამედროვე სტრატეგიები და პროფესიული სტუდენტების შეფასება“. დაწესებულებამ წარმოადგინა მსმენელთა ტრენინგზე დასწრების სარეგისტრაციო ჟურნალები მსემენელთა ხელმოწერებით. მათთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი შეძლებენ პროფესიულ სტუდენტებში შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას და მათ შეფასებას, თუმცა საჭიროებენ შემდგომ განვითარებას. ვფიქრობთ 4 დღიანი ტრენინგი ამ უნარების გასავითარებლად საკმარისი არ არის. შესაბამისად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგებით უზრუნველყონ ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის (მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი)“ თანახმად განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც პროგრამის ხელმძღვანელი, ჩვენი ხედვით, სრულად აკმაყოფილებს. იგი გახლავთ ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი, ასევე სწავლობს ამავე მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, არის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრატორი და აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის (ახალციხე) ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი.

ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით OpenBiblio, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. ჩვენ მიერ შერჩევითი პრინციპით, გადამოწმდა რამდენიმე მათგანი, და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში, შესაძლებელია ციფრული ვერსიების მატერიალურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ამობეჭდვაც, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 15 პერსონალური კომპიუტერი, 3 კომბაინი და კომპიუტერი სკანერით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამისი ელექტრონული მასალის მიწოდებას.

ბიბლიოთეკაში გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაც და შესაბამისად მიმდინარეობს სასწავლო მასალის გაციფრულება. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში, შესაძლებელია ციფრული ვერსიების მატერიალურად ამობეჭდვაც.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი 16. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები) თანახმად უნივერსიტეტი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მისი მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

სსსმ პირებისთვის ადაპტირებულია სასწავლო გარემო. შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, პირველ სართულზე გამოყოფილია რამდენიმე სასწავლო აუდიტორია. ადაპტირებულია სველი წერტილიც. უნივერსიტეტის ბილიოთეკაში უზრუნველყოფილია სპეციალური სივრცე, გამოყოფილია თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მომსახურებაზე.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საგანმანთლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, სადაც გათვალისწინებულია როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციის მომსახურების ანაზღაურება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ვებ-გვერდით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით;
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შინაგანაწესით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- ინტერვიუირების შედეგებით;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მოქმედი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილია და აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 10. 18.05.2020 წ. ოქმი № 2 დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. დოკუმენტის გაცნობის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სსიპ -სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ასევე, ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. როგორც შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც პერიოდულად ხორციელდება: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები და ხორციელდება მათი შეფასების ანალიზი. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.

ექსპერტები გავეცანით დაწესებულების მიერ ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროფესიული პროგრამის ირგვლივ დამსაქმებელთა დამოკიდებულების დასადგენად. ერთერთი შეკითხვა ეხებოდა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის სწავლებასაც, რომელშიც გამოიკვეთა პროფესიის აქტუალობა.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მუხლი N8 თვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება / ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად; როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ისინი აქტიურად არიან აღნიშნულ პროცედურებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჩართულნი. მათივე განმარტებით პროცესში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები და ასევე კურსდამთავრებულებიც. გამოკითხვები ტარდება ელექტრონული ან სატელეფონო ინტერვიუების მეშვეობით, რომლის ანალიზი გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამების განვითარების მიზნით.

იმედს ვიტოვებთ, რომ არსებული მექანიზმებით დაწესებულება შეძლებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შედეგების გაანალიზებას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის შედგენილია 2 სახის გეგმა. ერთი ინტეგრირებული, ხოლო მეორე არაინტეგრირებული პროგრამისთვის. სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულების წინაპირობები, საათების კვირეული ზღვრული რაოდენობა, საგამოცდო ორკვირიანი შუალედი წინსწრები მოდულებისთვის.

2.**პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის განმარტებით სამსახურის თანამშრომლები პერიოდულად ატარებენ პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას.

მისივე განმარტებით ასეთი გამოკითხვები იგეგმება „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პერიოდშიც, რამდენადაც კვლევის ანალიზი საშუალებას იძლევა საჭირო ცვლილებები შევიდეს საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა პროფესიული საგანმანათლებელო პროგრამების კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანი აღმოჩნდნენ დასაქმების ბაზარზე. კვლევა ემსახურება ასევე უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსის და არსებული გარემოს გაუმჯობესებასაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია რაეგირების მექანიზმი, რომელიც მოქნილია და ორიენტირებულია ადეკვატურ ღონისძიებებზე. უნივერსიტეტის ხარისხის სამხსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მიმართულებით უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას იმ სტრუქტურული ერთეულისთვის, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტების კვლევაში დაფიქსირებული პრობლემების მოგვარებაზე. განისაზღვრება კონკრეტული ვადა, ხოლო პრობლემის აღმოფხვრა ანგარიშის სახით ეცნობება ადმინისტრაციას. საჭიროების შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის გზები აისახება სამოქმედო გეგმაში.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი იცნობენ ამ მეთოდებს, მაგრამ საჭიროებენ მუდმივ განვითარებას ამ მიმართულებით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ ნ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - მუხლი 16. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით - მუხლით N 7, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუსაღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

როგორც დაწესებულების თვითშეფასებაშია წარმოდგენილი და რაც ასევე ჩართვის დროს შესაბამის პირებთან გასაუბრებით დასტურდება, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებელ ობიექტად განსაზღვრულია თვითონ უნივერსიტეტი, რომლის თითოეულ კორპუსში განთავსებულია შიდა ადმინისტრირების და ასევე კორპუსების დამაკავშირებელი ქსელიც, აღნიშნული ქსელის ადმინისტრირება ხდება შესაბამისი სამსახურისა და პროფესიონალი კადრების მიერ, რომლებიც ასევე ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია ერთიანი საუნივერსიტეტო ინფორმაციული სივრცე, (ე.წ. ინტერნეტი), რომელშიც რეალიზებულია სხვადასხვა ელ.სერვისები, დაფარულია უნივერსიტეტის ყველა საჭირო სივრცე (ყველა კორპუსი), სხვადასხვა ლოკაციებზე: ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ.N113 და N122ა, ასევე ახალქალაქი, დავით აღმაშენებლის ქ.N119. ქსელში ჩართულია დაწესებულებაში არსებული ყველა კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია და სასწავლო აუდიტორია, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ინტერნეტი და ინტერნეტის სერვისები. უნივერსიტეტის აქტიური ნაწილი დაფარულია უსადენო ქსელით. სერვერული ინფრასტრუქტურა განთავსებულია სჯსუ-ს ერთ ლოკაციაზე: პირველი კორპუსის 402 ოთახში, რომელიც უზრუნველყოფილია გაგრილებით და უწყვეტი კვების (UPS) მოწყობილობებით. ინფრასტრუქტურის სერვერებში გამოყენებულია Linux და Microsoft Windows Server ოპერაციული სისტემები, ინფრასტრუქტურა დაცულია ფაირვოლით. უსდ-ს მაშტაბით ჩართულია ქსელური შეტევებისგან თავდაცვის მექანიზმები, ასევე შიდა პოლიტიკის შესაბამისად გახსნილია მხოლოდ ის პორტები და სერვისები, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებისთვის არის მიზანშეწონილი და საუნივერსიტეტო ქსელის გამართული და უსაფრთხო მუშაობისთვის არის აუცილებელი. უსდ იყენებს Eset smart security ანტივირუსულ პროგრამას, რომლის ბაზების განახლება ხდება ლოკალური სერვერიდან. ანტივირუსული საკითხების ცენტრალიზებული მართვა ხორციელდება Eset Remote Administrator Console-ით, რისი მეშვეობითაც ხორციელდება უნივერსიტეტის ქსელში არსებული ვირუსული პროგრამების მიგრაცია საუნივერსიტეტო ქსელიდან. საუნივერსიტეტო საქმიანობის გამართულად ფუნქციონირებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება ახორციელებს გარკვეული სათადარიგო დეტალების წინასწარ შესყიდვას და საწყობში რეზერვირებას, დაზიანების შემთხვევაში სწრაფი რეაგირებისათვის.

ზემოხსენებული ინფორმაციის გათვალიწსინებით, პროფესიული სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელება იგეგმება უნივერსიტეტის მეორე კორპუსში. სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის განსახორციელებლად მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება მუდმივი სასმელი წყლით და ბუნებრივი ვენტილაციით. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილი და ადმინისტრაციული საქმიანობისათვის გამოყოფილი ფართები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და უწყვეტი განათების სისტემით. კორპუსში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სასწავლო კორპუსში პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად გატარებულია სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის შესაბამისი ღონისძიებები. შენობის დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დაცვის პოლიციის სამმართველო. სასწავლო კორპუსის ყველა სართულზე და ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები. სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი დაკომპლექტებული კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, წყლის ქსელით. სამედიცინო კაბინეტი მომარაგებულია პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის ყველა საჭირო მედიკამენტით. სასწავლო კორპუსში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. დამონტაჟებულია 14 ერთეული ცეცხლმაქრი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური მითითებით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისთვის სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების მოქმედების ინსტრუქცია კონკრეტული პასუხისმგებელი პირების მითითებით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოების წესები უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტებისთვის. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ხანძრის პირობებში სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების საკონტაქტო ნომერი „112“. სასწავლო კორპუსს გააჩნია დამატებითი საევუაკუაციო გასასვლელები. მოწყობილია შშმ პირთათვის ადაპტირებული სანიტარული კვანძი. 2018 წელს მოეწყო პანდუსი.

კორპუსის ტერიტორიაზე არის ღია ავტოსადგომი, სადაც გამოყოფილია სპეციალური ადგილი შშმ პირთათვის, საიდანაც

შესაძლებელია შეუფერხებლად კორპუსამდე გადაადგილება. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს შშმ პირების თავისუფლად ორიენტაციას და გადაადგილებას შენობის პირველ სართულზე და სარდაფში განთავსებულ ლაბორატორიებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უახლოეს პერიოდში იგეგმება შშმ პირთათვის სპეციალური დახრილკუთხოვანი ლიფტის (პლატფორმა) შეძენა და დამონტაჟება შენობის ყველა სართულზე მოსახვედრად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, ასევე უზრუნველყოფს სტუდენტთა უსაფრთხოებას. რაც შეეხება, პროგრამის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეძენილია ანტისტატიკური სამაჯური, ანტისტატიკური ხალიჩა, და დამცავი სათვალე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული . კითხვარები და კვლევის შედეგები;
- სასწავლო გეგმებით;
- კვლევების ანალიზით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელძღვანელთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად უნივერსიტეტში შექმნილია „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 9. 18.05.2020 წ. ოქმი № 2. წესის თანახმად პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა.

ვფიქრობთ, ამ წესების დაცვის შემთხვევაში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტურ

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ შექმნილი „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესში გამოყენებული იქნება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

სჯსუ- ს მიერ შემუშავებულია „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ ორი დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი რომელიც პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან არის დაკავშირებული. პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად, დგინდება, რომ ისინი იცნობენ ამ პროცედურებს, მაგრამ საჭიროებენ შემდგომ განვითარებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით“,
- სსიპ- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 9. 18.05.2020 წ. ოქმი № 2;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ექსპერტთა ჯგუფი თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

24.07.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: